ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5491149

ნომერი: AR1831782

თარიღი : 23.06.2021

გაცემის თარიღი : 07.07.2021

გაცნობის თარიღი : 07.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ვეკუას ქუჩა N14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე რაზმაზიშვილი პ/ნ 01017026380
- თბილისი პ.მელიქიშვილის ქ. N 17-19/4-6 ბ. 24

ორგანიზაცია:

- შპს "პლაზა+" კოდი: 404430870

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ილია ვეკუას ქუჩა №34, (ნაკვეთი №016/122), შპს "პლაზა +"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სამსახურის 13/02/2020 წ. № 4859761 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამუშაოების კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე ცვლილების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882021416251 02/06/2021 წ. საკადასტრო კოდი №01.11.12.016.123, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ილია ვეკუას ქუჩა №34, (ნაკვეთი №016/122), შპს "პლაზა +"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სამსახურის 13/02/2020 წ. № 4859761 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამუშაოების კორექტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას.

გაფრთხილება: საპროექტო სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ წინამდებარე განაცხადზე წარმოდგენილი ვიზუალის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.